ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №ბ/10-108
(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. თბილისი „8“ ნოემბერი 2011 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ, სსიპ - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი (შემდგომში – შესყიდველი ორგანიზაცია), მისი დირექტორის ნინო ბერუაშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს „სუფთა წყალი“ (შემდგომში - მიმწოდებელი), მისი დირექტორის თამაზ გრიგალაშვილის სახით, ვხელმძღვანელობთ, რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის გამოყენების შედეგად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია საქონლის (შემდგომში – შესყიდვის ობიექტი) შესყიდვა.

1.2. საქონლის შესყიდვა გულისხმობს 42 ბოცა (19 ლიტრიანი) ბინულის მარკის სასმელი წყლის (CPV-41100000) და 9000 ცალი ერთჯერადი ჭიქის (CPV-39222120) მომსახურების შესყიდვას.

2. შესყიდვის ობიექტის ღირებულება

2.1. ერთი ბოცა წყლის ღირებულება შეადგენს 10 ლარს, ხოლო 42 ბოცა წყლის ღირებულებაა 420 ლარი, ტრანსპორტირების მომსახურების ღირებულების გათვალისწინებით, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადების გათვალისწინებით, დღგ-ს ჩათვლით.

2.2. ერთი ერთჯერადი სასმელი წყლის ჭიქის ღირებულება შეადგენს 0.017 ლარს, ხოლო 9000 ცალის 153 ლარს.

2.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 573 (ხუთასსამოცდაცამეტი) ლარს, ტრანსპორტირების მომსახურების ღირებულების გათვალისწინებით, აგრეთვე, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით, დღგ-ს ჩათვლით.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი

3.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით ეტაპობრივად, შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნის შესაბამისად.

3.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია ქ.თბილისი, გორგასლის 24.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი ფაქტობრივი მიწოდებისა და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5. ანგარიშსწორების ფორმა, ვადა და ადგილი

5.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში, „სახელმწიფო ბიუჯეტის“ სახსრებით.

5.2. მიმწოდებელს შესყიდვის შესყიდვის ობიექტის ღირებულება აუნაზღაურდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ეოველთვიურად, ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის რაოდენობის გათვალისწინებით, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, მის მიერ შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

5.3. ანაზღაურების ადგილია ქობილისი.

6. მხარეთა უფლება - მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი ორგანიზაცია და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.

6.2. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია:

- ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, აუნაზღაუროს მიმწოდებელს მიღებული შესყიდვის ობიექტის ღირებულება
- ყოველთვიურად შეისყიდოს მიმწოდებლისგან 5 ბოცა ბინულის მარკის წყალი.
- მოუფრთხილდეს მის სარგებლობაში გადაცემულ წყლის ბოცებს და დაიცვას მათი ექსპლუატაციის წესები.

6.3. შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს:

- განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე.
- მოსთხოვოს მიმწოდებელს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის შემოწმების შედეგად გამოვლენილი წუნის აღმოფხვრა წუნდებული საქონლის შეცვლის გზით, შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

- მიაწოდოს შემსყიდველ ორგანიზაციას შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- მიაწოდოს შემსყიდველ ორგანიზაციას საკვებად ვარგისი და ჯანმრთელობისთვის უვნებელი და შესაბამისი ლიცენზიის მონე სასმელ წყალს.

6.5. მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველ ორგანიზაციას შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

7. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან შესაბამისობას შეამოწმებს შემსყიდველი ორგანიზაციის ფინანსისტი ოთარ ფერაძე.

8 . მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

8.1. მხარეები პასუხს აგებენ ერთმანეთის წინაშე მათ მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2. თუ შემსყიდველი ორგანიზაცია ამ ხელშეკრულების საფუძველზე მის სარგებლობაში გადაცემულ ბოცებს მათი ექსპლუატაციის ნორმების დარღვევის გამო დააზიანებს, იგი პასუხს აგებს მიმწოდებლის წინაშე საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

8.3. თუ შემსყიდველი ორგანიზაციის სარგებლობაში გადაცემული ბოცა შემსყიდველი ორგანიზაციის მიზეზის გარეშე გამოვა წყობიდან პასუხს აგებს მიმწოდებელი საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

8.4. თუ ხელშეკრულების ერთი მხარე არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს მის მიერ ნაკისრ ვალდებულებას, მეორე მხარე უწესებს მას დამატებით ვადას ნაკისრი ვალდებულების ჯეროვნად შესრულებისათვის.

8.5. თუ დამატებით ვადაში მხარე არ ასრულებს ან არსებითად არღვევს ნაკისრ ვალდებულებას, მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად ვადამდე შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება.

8.6. შემსყიდველ ორგანიზაციას, მის მიერ შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებული ვალდებულების შეუსრულებლობის ვადის გადაცდენის

შემთხვევაში, დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულების 0.3 პროცენტის ოდენობით.

8.7. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი სასმელი წყლის მიუწოდებლობისთვის ყოველ მიუწოდებელ ბოცაზე დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.3 პროცენტის ოდენობით.

8.8. თუ ხელშეკრულების ერთი მხარისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს შესყიდვის ობიექტის ღირებულების 3 (სამი) პროცენტს, მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება.

9. ფორს-მაჟორული სიტუაციები

9.1. მხარეები პასუხისმგებელნი არ არიან თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ის გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა: წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა, სხვა სტიქიური მოვლენები, საომარი მოქმედებები, აგრეთვე სხვა წინასწარ გათვალისწინებული, გარდაუვალი, მხარეების ნებისგან დამოუკიდებელი ობიექტური გარემოებები, რომლებიც უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

9.2. თუ ფორს-მაჟორული გარემოებების გამო სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობა გრძელდება ან აშკარაა რომ გაგრძელდება ორ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორის გარემოება, დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

10.1. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ამ შემთხვევებშიც ხელშეკრულების ღირებულების გაზრდა დასაშვებია ხელშეკრულების ღირებულების არაუმეტეს 10%-ის ოდენობით.

10.2. ხელშეკრულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა თანხმობის შემთხვევაში, ნებისმიერი ცვლილება და დამატება შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ წერილობითი ფორმით. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერ ცვლილებაზე უნდა გაფორმდეს შეთანხმება, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაშია ხელშეკრულების გაფორმებიდან და მოქმედებს 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

12. დავა და მისი გადაწყვეტის წესი

12.1. წამოჭრილი დავა ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყდეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2. თუ შემსყიდველი ორგანიზაცია და მიმწოდებელი მოლაპარაკებების დაწყებიდან 15 (თხუთმეტი) დღის განმავლობაში ვერ შეძლებენ შეთანხმების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესი

13. სხვა პირობები

13.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

13.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

13.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

13.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენა.

14. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები, მხარეების წარმომადგენელთა ხელმოწერები, ბეჭედი

შემსყიდველი ორგანიზაცია
ს.ს.ი.პ. საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი
უფლებამოსილი წარმომადგენლის სახელი და გვარი: ნინო ბერუაშვილი
მის: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. 24
ტელ.: (995 32) 405 103; 405 785;
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა– 220 101 222;
ხაზინის ერთიანი ანგარიში– 200 122 900;
ორგანიზაციის სახაზინო კოდი – 0146;
საიდენტიფიკაციო კოდი: №204423230

დირექტორი ნ. ბერუაშვილი

მიმწოდებელი
შპს „სუფთა წყალი"
უფლებამოსილი წარმომადგენლის სახელი და გვარი: თამაზ გრიგალაშვილი
მისამართი: თბილისი, ფალიაშვილის 118
საბანკო რეკვიზიტები: სს „საქართველოს ბანკი",
ბ/კ BAGAGE22 ა/ა№ GE13BG0000000129766400GEL
ს/კ№205150655

დირექტორი თ. გრიგალაშვილი